ბრძანება

N 705
25/10/2017

საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარედგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამა, (ს/ნ 404921670; N236542/16; 05.10.2017წ., მისამართი: თბილისი, ყაზბეგის N2) რომლითაც მოთხოვნილია პროგრამის აღიარება.

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებისა და სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესის, სპეციალიზებული გამოცდების განმახორცილებელი ორგანოს, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის ცალკეული დისციპლინების (საგნების) და განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების კომისიის 20 ოქტომბრის სხდომის ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება.
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს განგრძობითი განათლების პროგრამა 2017 წლის 31 დეკემბრამდე.
3. მიენიჭოს საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამას ნომერი - SARAS-CPD-002/17.
4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის მიერ წარმოდგენილი პროგრამის

სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება.

5. დაევალოს საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას აღიარებული განგრძობითი განათლების პროგრამის ფედერაციის საიტზე გამოქვეყნება (www.gfaafm.ge).

6. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი - მ.შ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური